

აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის
ფსიქიკური ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის

Academician Bidzina Naneishvili National
Centre of Mental Health

გღმარება

ANTHOLOGY

აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

აღმზანად

ANTHOLOGY

Academician Bidzina Naneishvili National Centre of Mental
Health



აღმზანად გამოდის მადალეოვლადუსამდვდლოესი ხონისა და სამტრედიის
მიტროპოლიტ საბას (გიგებერია) ლოცვა-კურთხევით, რომელიც ფსიქიკური
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სწორი სტუმარია და მისივე ლოცვა-
კურთხევით მღვდელთმსახურება აღევლინება ამავე დაწესებულების წმინდა
პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარში.

The anthology is published with the blessings of the Mertopolitain of the Khoni and
Samtredia Saba (Gigiberia), who is the frequent guest of the National Centre of Mental
Health and with his blessings religious service is conducted in this institution chapel
named St.Panteleimon the Healer.

[www. ncmh.ge](http://www.ncmh.ge)

2008

სარედაქციო კოლეგია The Editorial Board.



მთავარი რედაქტორი და გამომცემელი-აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი
გოჩა ბაკურაძე.

Editor-in-chif and producer-General Director of the Academician B. Naneishvili National Centre of Mental Health
Gocha Bakuradze




რედაქტორი-სოციალური სამსახურის უფროსი
რევაზ ხვედელიძე
Asistant editor-the head of Academician B. Naneishvili National Centre of Mental Health Social Servise
Khvedelidze.



ტექნიკური რედაქტორი-საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი
ცირა შვანბირაძე

Technical editor-Public Ralations Manager Centre of Mental Health
Tsira Shvangiradze



ალმანახი გამოსაცემად მოამზადა სოციალურმა მუშაკმა
დემურ კირთაძე.

The anthology was prepared for the publication by the social worker of National Centre of Mental Health
Demur Kirtadze

უდიდესი შრომა გასწია აწ გარდაცვლილმა ბატონმა დემურ კირთაძემ ალმანახის გამოსაცემად მასალების შეგროვებისათვის, თუმცა მძიმე სენით შეპყრობილი, ვერ მოესწრო მისი ოცნების ასრულებას-თავისი თვალით ენახა სამზეოზე გამოსული ალმანახი. მსუბუქი ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი მშობლიური ხონის მიწა.

სარედაქციო კოლეგია.

Tremendous work has been done by presently deceased Demur Kirtadze to collect materials for anthology publication. Being sick with a heavy ailment he could not live to the fulfilment of his dream to see the anthology published. May his soul in peace

The Editorial Board.

არსებობს გზა, რომელსაც არ უნდა დაადგე!

არსებობს გზა, რომელსაც უნდა ერიდო!

არსებობს გზა, რომელიც ბედნიერებას და სიხარულს განიჭებს თუმცა არსებობს კიდევ ერთი გზა—შენივე ხელით გასაყვანი და ძნელად მისასვლელი—ესაა გზა ცხოვნებისაკენ, რამეთუ ადამიანს ყველაფერი უფლის ნაბოძები აქვს, და საკუთარი მხოლოდ ცოდვები გააჩნია.

ადამიანური პატივისცემა, კეთილი განწყობა და „მკურნალი სიტყვა“ ის ფენომენებია, რომლებიც ტაძრამდე მიმავალ გზაზე იოლად გაგიყვანს, აქ ხომ ახლოა ზეობა სულისა- სულის ცხოვნება..

ჩვენ ავირჩიეთ გზა, რომელიც ახლოა ფსიქიკურად დაავადებული პაციენტის სულის ნავსაყუდელთან, რადგანაც ვთლით, რომ ამ ადამიანების „ღირსებათა ცნობა“ ღვთიური საქმეა. უფრო მეტიც, გზაა სულის გადარჩენისა..

ლიტერატურული თვითშემოქმედება, თეატრი, სპორტი, ქორეოგრაფია, დეკლამაცია, ხატვა და რეჟია- აი იმ სახეობათა არასრული სია, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. (ხონის რაიონი სოფელი ქუტირი) აქ დანერგილმა კულტურული, შრომითი და სპორტული თერაპიებით მკურნალობამ მრავალი ადამიანი დაუბრუნა ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ალტერნატიული, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდებით მკურნალობა, ყველაზე წარმატებული და ეფექტური მოდელია თანამედროვე ფსიქიატრიაში. ფსიქიკური აშლილობა ერთ-ერთი უძვირესი და მასშტაბური დაავადებაა, იმ სნეულებათა შორის, რომელიც დღემდე რჩება როგორც კაცობრიობის, ასევე მეცნიერების პრობლემად.

იმედია, აღმანახი, რომელიც პაციენტების შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფია, მალე მოექცევა მკითხველის ყურადღების ობიექტივში. ამ ლექსებში არსებული ყოველი რიტმა, ლექსთაწყობა არის ჩვენი პაციენტების „სიტყვაკაზმულობის“ დასტური. ავტორები წიგნში წარმოდგენილი არიან ფსევდონიმებით, ეს იმისათვის, რომ დაგვეცვა მათი კონფიდენციალურობა.

წაიკითხავს რა, აღნიშნულ ავტორთა ნაწარმოებებს, მკითხველი აშკარად დაინახავს, რომ ლიტერატურისადმი, პოეზიისადმი სიყვარული რაოდენ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერი რეაბილიტაციის პროცესზე.

პირველი ცდა - ერთ წიგნად შეგვეკრიბა პაციენტთა აღმანახი და მკითხველთა ფართო მასებისათვის წარმოგვეჩინა, რამდენად შეეძელით, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდვია.

ბორჩა ბაპუშაძე

There is the way which one should pursue!

There is the way which one should evade!

There is the way which brings you happiness and joy. However there is one more way which one should pave himself and which is difficult to pursue. This is the way to salvation, as everything a human being has is given by God and people actually have only their own sins.

Human respect, good attitude and „a curing word” are the phenomena which will easily lead you to the road which goes to the place of worship, which is very close to paradise and salvation of the soul.

We have chosen the way which is close to the soul dock of psychically impaired patients; because we believe that the recognition of virtues of these people is a divine deed. Moreover, it is the way to salvation of our souls.

Literary amateur work, theatre, sports, choreography, declamation, drawing and production is the incomplete list of activities which are especially popular at The National Centre of Mental Health of Acad. B. Naneishvili (Khoni District, Village Kutiri).

The implemented here cultural, working and sports therapies have enabled a lot of people to return to normal rhythm of life. We believe that it is the treatment comprising the alternative psycho-social rehabilitation methods that is the most successful and effective model in the modern psychiatry. Mental disorder is one of the most serious and widespread illnesses, among those which remain problematic to the mankind as well as to the scientists up to this day.

We hope, the anthology which is the result of the patients’ creative work will soon be the focus of the readers. Every rhyme and every belles-lettres text by our patients is the proof of their talent. The authors in the book are presented with their nicknames in order to protect their confidentiality.

After reading the works of the mentioned authors the reader will definitely see what positive influence can love towards literature and poetry have on the process of mental rehabilitation of a person.

This is the first attempt to compile the patient’s anthology in one book and to represent it to a wide number of readers. It is up to you to judge, how well it has been done.

Gocha Bakuradze

გელათი

კვლავ ფერშეუცვლელ გელათს ვუცქერი,
 გელათის იქეთ გულის კარია,
 კვლავ დაგვცქერიან ძველი ფრესკები
 ბედნიერი ვარ და მიხარია.
 ტრფობით შევცქერი კედლებს ნამეხარს,
 შავმა ღრუბლებმა, რომ ვეღარ ავნეს
 რუსთაველისას ვხედავ ნატურფაღს
 და თეთრი ტაძრის მადალ გაღავენებს...

საქართველოს სიხარულით

გადაიფრინა პლანეტაზე წლებმა მრავალმა,
 დედა თბილისმა განიბანა ტანი ემბაზში
 და გენიოსი პოეტების შთამომავალმა
 ფრთები შეისხა საქართველოს განახლებაში;
 თუ საქართველოს სიყვარულით არ
გიცხოვრია,
 ნამიან მოღზე გაბნეული მარგალიტები
 მთვარის შუქზე თუ სიხარული არ გიპოვნია,
 ვეღარ დატკბები საქართველოს გაღიადებით!



თბილისო!

ფანტასტიკური სახე გაქვს
 მთაწმინდის მკერდში ჩარგული
 ასი ლეგენდის ადგილი-
 ქალაქი ლეგენდარული.
 შენ ხარ ერის სიყვარული
 ვულკანური ცეცხლისა,
 შენთან მოვალ და დავრჩები
 თუ ოდესმე მელირსა.
 შენ სამყაროს ხატება ხარ,
 პოეტების ალაგო,
 მთელ მსოფლიოს მირჩევნისარ
 ჩემო დედაქალაქო!

ახალი წელი

მიდიან წლები უმარადისო,
 რეკავენ ზეცის დიდი ზარები
 მაისიანი თუ უმაისო,
 ახალი წელის თანამგზავრები.
 ძველ წელს წამიერ მოსდევს ახალი,
 ცის ვარსკვლავითი სრბოლას უნდება
 ადამის, ევას შთამომავალნი
 ვემორჩილებით დედა ბუნებას!
 აგერ ნაძვის ხე ათასფერადი
 ჩვენ წინ ელვარებს ოქროს ფერებით,
 სიყვარულისთვის ქვეყნად მოსულებს
 სულ ყველას ერთად მოგეფერებით!

ჭუთაისო!

სამიათას ხუთასის გახდი შენ ქუთაისო,
გენიოსი მხატვრების ძეგლო სამარადისო,
შენს ჭადარას ამშვენებს მოკიაფე ქუჩები,
კვლავაც მრავალ ქარტეხილს ასე
გადაურჩები.
ვიგალობენ პოეტნი, დგახარ გოლიათურად,
ვარსკვლავივით კიაფობს უამრავი ნათურა...
გაზაფხულზე რა სჯობნის აზვირთებულ
რიონსა,
საფიხიას და გორას, მუხრანის ტყის სიოსა,
საქართველოს მშვენებავ, ტრფობით გული
აივსო,
ქუთაისო, ოცნების მექავ სამარადისო!

ვანის ნაძალაძარი

სააქაოში ძლიერ დათოვა,
წახველ და ჩამწყდა გულის ძარღვები,
ახლა მიწაზე თითქოს მარტო ვარ,
დიდი ტკივილის ერთი ნაღები...
აბობოქრებულ გულის კანკალით
დავივლი ქალაქს, ზღაპრებს რომ იტევს
ნაქალაქარის თეთრი საკანი
ელის მეორედ ნაწამებ ქრისტეს.
როდის ჩამოვლენ საბერძნეთიდან
ის მითიური არგონავტები?
სარკოფაგები მოაქვთ მთებიდან
სავსე მუმიით და პრიმატებით!

ვიღაც მოხუცი

ავტობიოგრაფიული შტრიხი

ვიღაც მოხუცი
არეულით, მიცქერს თვალებით,
ვიღაც მოხუცი
ნაწამები და ნამთვრალეები...
რითმებითა და მეტაფორით
სავსე რვეულით,
მომხერებია ფერმიმკრთალი
და არეული...

მერე რა მოხდა...

მერე რა მოხდა, ჭაღარა, რომ მეც გამერია?
სამშობლოს სევდა გულზე მაწევს მგოსანს
მუქარით
თვითონ მწვერვალნი, უდიდესნი ხომ ბერდებიან
და როგორც კაცი, ჩაისუნთქავს ზოგჯერ
ვულკანიც!..



ღელის ღღე

თოვლში ბრწყინავს საქართველო
და სამშობლოს ქედები
სამ მარტს დღესასწაულობენ
ჩვენი ტკბილი დედები...
დედებს სამ მარტს მიუფლოცავთ
ნატოს, მზიას, მარინას...
საქართველოს სულ ესმოდეს
ტკბილი იავნანინა.
ყველა დედას ახარებდეს
მზე, ვარსკვლავთა კრებული
განადგურდეს ბოროტება,
ვძლიოთ ათასწლეული.
ქვეყნად დიდი საგანძური
არის კარგი შვილები,
აღორძინდნენ ქართველები
გმირნი ფრთავაშლილები.
აკვანთან ხართ მიჯაჭვულნი
ანგელოზო მტრედებო,
უნდა იხსნათ საქართველო
თქვენ, უკვდავო დედებო!
ია-ვარდებს მოგაწოდებთ,
რომ მგოსნებმა გახაროთ
თქვენით გვიყვარს საქართველო—
ჩვენი დედასამყარო!

ახლოლის პატარა ბობონას

თუ გითხრა ვინმემ—წამო ტყეში!ნუ დათანხმდები,
თუ დათანხმდები, იქ რა გელის ალბათ ვერ
ხვდები,
ბევრჯერ წახვალ და შენ წამყვანის ხასა გახდები,
ხასა გახდები, გაფუჭდები და სულ წახდები!
ბევრი იფიქრე და ისე თქვი ან ჰო, ან არა!
ქვეყნად იარე მხოლოდ შენი აზრის ამარა,
თან გაიზრდები და „მაგარი“ გოგო გახდები,
ოღონდ იცოდე, სხვას ადვილად ნუ დათანხმდები!

მზე

მზეო შენა ხარ არსი სიცოცხლის,
არსი ყოვლისა, ცათა მშობელი,
ღმერთო, მე რამდენ წელსაც ვიცოცხლებ
შენი შვილი ვარ განუყოფელი.

წყალტუბო

წინათ აქ იყო წვდიადი,
გზებზე ურმები წვალობნენ
ღღეს ბაღნარია ღიადი,
ღაღად ჩიტები გალობენ...
ღმერთსა ვთხოვთ ლექსის სტრიქონში,
მეტაფორები ჩავტუმბო
ედემის ყველა ბაღების
პატარძალია წყალტუბო!

რვა მარტი

მზე აბრწყინებს საქართველოს,
მთები კალმით ნახატი,
ქალებს ყველას მივულოცოთ
დიდებული რვა მარტი.
რვა მარტი ხომ ქალთა დღეა,
ყველას სიხარულისა
გულს გეფინოთ უკვდავება
შუქი გაზაფხულისა...
რვა მარტის დღე დაგელოცოთ
ყველა ქვეყნის ქალებო,
სიყვარულით, სიდიადით
მარად ჩაუმქრალეხო...
დედის ძუძუ შვილებისთვის
უკვდავება პირველი
ქალი არის საოცრება
მარად გასაკვირველი.
მზეთუნახავების ეშხი
გულს სიცოცხლედ ფენია,
ქალი-კაცის საფიქრალი
და ცხოვრების გენია...



ქერა ასული

ქერა ასული, ვით თაიგული,
ლაღად გაშლილი მაისის ვარდი
შენი ალერსი და სიყვარული,
ამაღლებული სული და დარდი.
ჰა, პატარძალი—მშვეენება სრული,
ო, თეთრ ფერიას რა რიგად ჰგავდი
ხარ სათნოება, უმწიკლო ქალი,
ამაღლებული, სიწმინდის ქნარი...

გონა ბაკურაძეს

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული
ცენტრის გენერალურ დირექტორს

კორუფციის ისტორია გათავდა და მორჩა,
რადგან გენდირექტორია ბაკურაძე გონა.
მე ასეთი სისუფთავე დღემდე არ მენახა.
განგაშია „ფსიხუშკაში“, გონა მოდის რახან!
პაციენტთა გადარჩენის პერსპექტივაც მოსჩანს,
რადგან გენდირექტორია ბაკურაძე გონა!



მერაბ ბიორხელიძეს!

ის ხერხემალი არის ნამდვილი,
არის მარჯვენა ხელი იმ კაცის,
მართლაც არ არის ასე ადვილი,
გამოყენება ძმებთან სიმკაცრის.
ექსისს ოც წუთზე წასვლას ვერ ბედავს,
ვერც აგვიანებს „მტერი ვერაგი“
აშარი ქარი ყვება ლეგენდას
გველეშაპს როგორ გმირავს მერაბი!

ღუდარ სანაძეს

ის ხონელების იყო ჯორდანი,
კარგი სპორტსმენი, კარგი ხონელი,
იტყოდა მტკიცედ, როგორც ჯოვანი
და სიტყვაც იყო აუწონელი.
დიაცნი კართოდნენ თვალთა მუდარით,
უციმციმებდათ სხივი ნათელი
მუდამ ფორმაში არის ღუდარი,
კაი კაცი და კაი ქართველი!



თამაზ ლომთაძეს

გონას ვაზირთუხუცესი
რომ ბატონი თამაზია,
ამიტომაც ყველაფერი
სუფთაა და ღამაზია.
ცად აღავლენს ეროვნული
ცენტრის დედა ეკლესია
ლოცვას, მისთვის, ვინც სიკეთის
ვაზირთუპირველესია.

იოსებ ნანეიშვილს

ღვთისმშობელის სამკვიდრო და
ღმერთების საბატონო,
ღამე კრთება და მკვიდრდება
დილა საიადონო.
ანგელოზთა ბრიგადებით
გაჭირვებულთ პატრონობ
—იმედისაც მოგვიყვები
რამე, სოსო ბატონო!
სიკეთისა მთესველო,
მაგიერის არ მდომო,
ღირსების ძეგლს აგიგებენ
მაღე, სოსო ბატონო!



ნოდარ ნიშარაძეს

თავადის სისხლი ჩოხაში ბორგავს,
არცა ვავალებ, არც მაქვს ვალები
აქ, სადაცა ვარ მერაბი მბორკავს,
იქ, სახლში ცოლ-შვილს არ ვებრალები.
არ დაღლილს, შრომა-თერაპიაში,
დღე-ღამ სირბილი, გარჯა-ტრიალი,
ჩოხოსან გმირთა „ქება-პიარი“
„სარდიონიჩი“ ნოდარი არი...

ნეტავ სად არი

იყო ოდესღაც გრძელი ამბავი
ვარდ-ყვავილებზე, უხსოვარ დროში
და ის გამქრალა, როგორც ზღაპარი,
სადღაც წასულა სხვა სამყაროში.
ზღაპარში იყვნენ ზღაპრის გმირები—
შორეულ ზეცის თეთრი ლაშქარი:
—დროვ, რა უყავი შენი შვილები,
ის საქართველო ნეტავ სად არი?
ვიცი, გიყვარდა მეფე დავითი
სარგის სარდალი, მეფე თამარი
და დარჩა მხოლოდ ლამაზი მითი:
—ის საქართველო ნეტავ სად არი?



ქეთო ექთანი

შემომეყარა ქეთო ექთანი,
ო, რა დაღლილი სჩანდა გუშინ ის-
წამლების დასტა შემოუტანეს,
„ისტორიები“ ერთი „დუჟინი“.
ველარ გაარკვევს, ვერა ღმერთმანი,
ასი „კუდ“-ელი, ასი „სოდ“-ელი,
ჩვენი პრანჭია ქეთო ექთანი,
ექთანია თუ სუპერმოღელი.

1. „კუდ“-ი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
2. „სოდ“-ი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი.

სიყვარული

მაყელისფერი თვალები, ოქროსფერი თმა,
გიშრის წარბნი, წამწამნი რა ვინატრო სხვა?
უშრეტელი გულის თქმა–ლამაზ ფიქრთა სვლა,
შენი ეშხით დამტკბარი ჭიქა ღვინოს ვსვამ...
თეთრი, ტურფა ქალწული–მღელვარების ზღვა,
ალვისტანა ასულის მათრობელა ხმა,
შარბათია ის ხიბლი, რაც მე წილად მხვდა,
სიზმარივით ლამაზი სიყვარული მწვდა!



თქვენთან ვარ ახლა, რადგან თქვენს იქით
 მე არსად აღბად არ მიმესვლება...
 თქვენ ერთადერთი მყავდით ამ ქვეყნად,
 ვინც არ ელოდით ჩემგან არაფერს,
 მეც არაფერი არ მინდა თქვენგან,
 ოღონდ წარსულზე მელაპარაკეთ...
 მაგრამ თუ ისევ დავიგვიანე,
 თუ დაივიწყეთ ჩემი პროფილი
 მე დავბრუნდები კვლავ „სერგიეთში“*,
 როგორც მოყვრისგან უარყოფილი.
 შვეურიგდები ბედს, მაგრამ ზოგჯერ,
 მაინც დანისლავს თვალებს სისველე,
 რადგან თქვენს მეტი მე ამ ქალაქში
 ვიცი, არავინ არ გამიხსენებს.

*„სერგიეთი“–სოფელი მარტვილის რ-ნში.



თავისუფლება

მე ცხოვრებაში რაც შემხვედრია,
უდიდესია თავისუფლება
თავისუფლება იმის ხვედრია,
ვინც კარგად იცის თავის უფლება!

მეორადები

რომ აივსება „ქუთეისი“ მეორადებით
თქვა ბიჭიკიამ: ვიქნებით მაგის თავდები,
უყურე, აქ რომ თავმომწონედ ასე დადიან,
ქალიც, მანქანაც, სიყვარულიც
მეორადი აქვთ!

იმედი

იმედი ზოგჯერ ისე დაგტოვებს,
შემოგეცლება, როცა იდროვებს,
შემოგესევა ღრმა სიმარტოვე,
მცირე იმედსაც არ დაგიტოვებს.
იმედო, ნუღარ, ნუღარ დამტოვებ,
„კოდარას ველზე“ ნუ მიმატოვებ!

*„კოდარას ველი“ – ადგილი ხონის რ-ნი სოფ. ქუტირში, სადაც განთავსებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



თვალუბი

თაფლისფერია ჩვენი თვალეები,
ჩვენი თმები კი წაბლისფერია,
და ისე ვგავართ თურმე ერთმანეთს,
როგორც ზღაპარში ორი ფერია.
წუხელ სიზმარში ერთად ვიყავით,
ციდან ჩამოსულ ანგელოზს ჰგავდი,
„მე რომ მხატვარი ვყოფილიყავი,
ღვთისმშობლის გვერდით შენ დაგხატავდი“.

31 დეკემბერი

31 დეკემბერია,
რა მალე გადის ეს წელიწადი,
31 დეკემბერია,
საუკუნეა, რაც შემეყვარდი.

მთეები

მთებს იქეთ მთები,
მაღალი მთები
და მწვერვალები—
ყინულის ძნები.
თეთრი ნისლეები—
ზევსის აფრები.
მთები, ნახატი
თეთრი ფანქრებით.
სპეტაკი მთები
და მწვერვალები,
ღრუბლები—
ზეცის ამორძალები.

ნულარ დამტოვებ უქმაროდ

გეაჯი ღმერთო მაღალო,
ნუ შემაყვარებ ცოლიანს,
როცა ის შემეფეთება,
თავი ეღემში მგონია.
ჩემი მფარველი თუ ხარო,
იმ ბიჭს როგორმე უთხარ რო,
მიყვარს გეაჯი უფალო,
ნულარ დამტოვებ უქმაროდ!

აბა რა გითხრა, ძმობილო!

აბა რა გითხრა, ძმობილო,
დაგეჩოქები გგონია?
შენ სიყვარული მოჰკალი,
შენ გული არა გქონია!
აბა რა გითხრა, რა გითხრა,
რას გეტყვი შენ რა გგონია?
წვერმოშვებული დადიხარ
ნეტავი ეს რა დონეა?



„ვარ ფოთოლი, ჩაბღებული უფრსრულის ფსკერში, უცხო აკორდი ჩქერების და ხმების რიტმებში“.
მძაფრი ბანცლები და კოქტეილი სახეებით აზროვნებაა დამახასიათებელი ბატონი ვახტანგის კოეზიონათვის.
ვ. მიშაშვილი გეგმა ფსიქიკური დიაგნოზის მსხვერპლად აქცია. იმედი აქვს, რომ იგი აუცილებლად განიკურნება. ჩვენც ვთხოვთ განგებას, აუცილებლად აუსრულოს კოქტეს ეს ოცნება.
სარედაქციო კოლეგია.

კენესოდა ქარი

ქარი კენესოდა გათენების მოლოდინში, თუ მე
გკენესოდი
და შიშის გრძობა შემეპარა სხეულში უცებ,
მივხვდი: ესაა ნეტარება ტკივილის სახით,
რაკი ოცნებას დაეფარა ბინდი და თალხი...
და მე გავიგე უსუსურმა მცენარემ ქარში,
მესიზმრა, მხოლოდ ვარ სიცოცხლედ და მიინავს
ცხადში,
რომ ვარ ფოთოლი ჩაგდებული უფსკრულის
ფსკერში,
უცხო აკორდი ჩქერების და ხმების რიტმებში...
რადაც ნაწილი კოსმოსური უსასრულობის
უკიდებანო სივრცეების ლაბირინთებში.



კოცნა

სოფლის ბოლოს გელოდები ცუცუნია,
დგას სურნელი იისა და მოცვის
ღობის ძირას ვნებიანი ჩურჩულია:
სოფლის ბიჭი, სოფლის გოგოს კოცნის.

ისტორია

შემოინახა ისტორიამ რამდენი რამე,
რამდენი რამე ისტორიამ ვერ დაიტია,
მილიონ დღეებს, საუკუნეს, მილიარდ წამებს
თვით „ბილ გეიტსის მანქანებიც“
ვერ დაითვლიან.
აჰა, ვწერ ლექსს და ისტორია ზის მაგიდაზე,
რადგანაც ყველა იბრძვის თავის გადარჩენაზე
მან მითხრა ასე: იქნებო შენ ჩემი გმირი,
ამ ისტორიის ერთი „ბჭკარედის“ პატარა
შვილი!

იბერია

თუ გაგივლია ესპანეთის იბერიაში
ქართულ სახეებს, ქართულ ღიმილს დაინახავდი
სალ კლდეს აკლავენ ველურ ვნებას შლეგი
ზვირთები,
სანაპიროზე ახლაც ისმის „ქვათა დაღაღი“
აქ მშვენიერი ესპანელი ქალიშვილები—
თეთრი ნიშფები, მოკისკისე ზღვის ფერიები,
იბერიაში, რაინდების საბატონოში
გვირგვინს იდგამენ ვარდების და ლურჯი იების.

ქართლოს ლალიშვილი

ბატონ ქართლოს ძალიან უყვარს კოეზია, სიმღერა, ცეკვა. მოკლე, უყვარს სიცოცხლე. ამიტომაცაა, რომ ის ეროვნული ცენტრის შემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი ლიდერია. ბთავაზობთ ბატონ ქართლოსის რამდენიმე ლექსს, წრფელი გულითა და სიყვარულით დაწერილს.
სარედაქციო კოლეგია.

ღალი კალანდარიშვილს

ექიმ-ფსიქიატრს

ხარ მოვლენილი საბატონოდ მუზა გრანდების, კეთილშობილო ქალბატონო, როგორ ბრძანდებით? ფანჯრის სარკმლიდან გიციქერიან მოგონებანი, წლები გარბიან—საყვარელი კინოკადრები... გარბიან წლები აწ გარდასულ დღეთა ვნებანი, კეთილშობილო ქალბატონო, როგორ ბრძანდებით?

მონა

აშკარა მტრისა არ მეშინია,
 საშიში არის მტერი მალული,
 მტერი, რომელიც შენი „შნირია“
 და გათრობს ბანგით და „სიყვარულით“.
 სჭირდები?—გიწმენდს ენით „ბათინკებს“,
 სჭირდები?—დარდობს შენი დარდებით.
 სჭირდები?—გიკლავს გოჭებს და თიკნებს,
 სჭირდები?—გიფენს ბილიკს ვარდებით.
 და აღარავინ არ გმონებს მისებრ,
 სანამდგე ბრწყინავ და აღარ ხუნდები.
 და ბოროტებას ამქდავენებს მყისვე,
 როცა ჯიბედ გაქვს მხოლოდ ხურდები...

კაცურკაცობა

საასპარეზოდ გვაქვს ეს სოფელი,
დაეშურენით, მიიღეთ ჯილდო,
და თუ ბიჭი ხარ უნდა ეცადო,
კაცურკაცობა მამაცად ზიდო!

ჩინოვნობი

ზოგიერთი ჩინოვნის
საქციელი ეჭვებს ბადებს,
ღღაღი რჩება შეუმჩნევი,
ლიფსიტები ვხტებით ბადეს!

გებრაღებოდეს

შენტვის ბოროტი ვინაც ინდომა,
შეიფვარე და უქენ სიკეთე,
ცოდვილს მიეცი სულის მშვიდობა,
უკეთურს კარგი რამ გაუკეთე.
გებრაღებოდეს ყველა ბენავი,
ყველა ბოროტი და ავადმყოფი,
სითბო მიეცი ყველას მზესავით,
სითბო მიეცი მისი სამყოფი!



ღამაზი, კომუნიკაბელური ბულწფელი და უშუალო.
უმჯარს და არც მაღავს.—,ან კი რატომ უნდა დამალოო,
—ამგობს. უხარიია: —,ბამოვწანმრთელდი, მაღუ სახლში
ბამოშქეპენო.
ჩვენც ვუსურვებო ქალბატონ ხათუნას წანმრთელობასა და
დიდ სიყვარულს!
სარქდაქციო კოლეგია.

ფარული გრძნობა

ეს სიღამაზე შენი მაოცებს,
შენი ცხოვრების არსი
წამოიზარდე უკვე საოცრად,
ხარ მზეჭაბუკის მსგავსი.
დიდი ხანია გეტრფი მალულად,
ვარ შენი ტრფობის ნავი,
გამანადგურა ამ სიყვარულმა,
უნდა მოვიკლა თავი.
გამანადგურა ამ სიყვარულმა,
ბაღში მიხილე როცა,
დავატარებდი გრძნობას ფარულად
და გიგზავნიდი კოცნას.



აღარ გიყვარვარ?

–აღარ გიყვარვარ, ო, რატომ, რატომ?
ვტირი და ვტირი გადამეტებით,
დავეხეტები უბანში მარტო,
ჰო, შენს ქუჩაზე დავეხეტები.
ნატავ რას იზამ, თუ კი მოგკვდები,
მეპატიება ჩემი ცოდვები?
ჩამატარებენ როცა გოდებით,
ნატავი აღარ შეგეცოდები?

ჩემნაირები

–რა ვქნა, შენნაირს ვერ ავიტანო!
მეუბნებიან მე დაქალები
–დაო, თუ ჭირში არ გამიტანე,
მითხარი, რატომ მედაქალები?
ვეღარ იქნება ყველა ჯანმრთელი,
ვეღარ ვიქნებით ყველა გმირები,
ვისაც მოვწონვართ, ვენაცვალებით
მე და მრავალი ჩემნაირები.



ალექსანდრე ბუზჩასტნი განათლებული, მრუდირებული პიროვნებაა. ეტრვის სილამაზის ნამდვილი რომანტიკოსია, ლექსებს კაღიან იშვიათად წერს.

სიყვარული მარადიულია—ამბობს ბ-ნი

ალექსანდრე,—ყველაფერი წარმავალია სიყვარულის ბარდა!

ესაუბრები და ბრძობ, რომ მისთვის ყველაფერი არ ღამთავრებულა.

„მე მოვირევი ამ ავადმყოფობას“!—მტკიცეა მისი სიტყვები. ჩვენც გვჯერა, რომ ბ-ნი ალექსანდრე ავადმყოფობაზე ბაიმარჯვებს.

სურვილი

ცისფერ სიზმარში მინდა წავიდე,
სადაც იხდენენ ყველა სურვილებს,
მშვიდობის გარდა, განა რა მინდა,
მშვიდად ცხოვრების დამაქვს წყურვილი.
რა არის თქვენი დემოკრატია?
—ქაოსი, ტანჯვა, შიმშილი, გვემა...
დასაშლელია ყველა პარტია—
ამბიციური გვამების რემა.
ცისფერ სიზმრებში გული დაეხატე,
„მიყვარხარ“ ჩემი სისხლით დავწერე.
ბრწყინავდი, როგორც სხივი ბარხატზე,
და შემოქმედის ლექსი ბარათზე.

კონცია პირველი-შუბანასკნელი

თეთრ ანგელოზებს შევადარე ჩემი გოგონა
და კულულები დაუკოცნე მარტოდ დარჩენილს
ღამაზ კისერზე ესვეოდა ნაწნავთა კონა,
თვალეხი მისი ანათებდნენ, როგორც სანთელი.
აქ დამისრულდა სიხარული ბედით გათვლილს,
ეს იყო კონცია პირველი და უკანასკნელი...

იმ ღამეს

იმ ღამეს თოვა, თოვა და თოვა,
ხეს მიაყინა ჩიტი ღაბუა,
და თივის ზვინი ფიფქების გროვამ
გადააკეთა თოვლის ბაბუად.



ეჭირათ, სიმონისა და მისი მეუღლისთვის მისართმევი თაიგულები. პატარა გოგონები ქვითინებდნენ, უფროსებს კი სევდა მოსწოლოდათ თვალებში.

სიმონმა სიტყვა წარმოთქვა:–‘ჩემო საყვარელო ბავშვებო! მეც ძალიან დამწყდება გული ყოველ თქვენგანზე. გთხოვთ, არ იფიქროთ ჩემზე, იფიქრეთ იმ სიტყვებზე, რასაც მე გეტყვით: ისწავლეთ, ისწავლეთ და ისწავლეთ მთელი მონდომებით, ნუ იჩხუბებთ და ნუ იკამათებთ. გიყვარდეთ თქვენი სკოლა, დაიცავით ის. არის ორი რამ, რაც მოქალაქემ უნდა დაიცვას-ეს არის სკოლა და მშვიდობა!’

სიმონი ჩავიდა თავის მშობლიურ ფონტვიეში. ეს იყო მისი მშობლიური ქუჩა, მშობლიური სკოლა. აქ ისწავლა მან წერა-კითხვა. აქ ასწავლიდა იგი ბავშვებს.

შევიდა სკოლაში, შეაღო საკლასო ოთახი, ის ოთახი, სადაც ის გაამწესეს მასწავლებლად. „ამ ოთახში ხომ ორმოცი წლის წინათ ვიყავი ბოლოს, თითქოს არაფერი შეცვლილა. სიმონი მიუახლოვდა მასწავლებლის მაგიდას: „ეს იქნება ჩემი მაგიდა“. დაჯდა, თვალი მოავლო საკლასო ოთახს: „მე დავბრუნდი, დღეიდან ფონტვიელ ბავშვებს ვასწავლი და მათ შევიყვარებ,“–გაიფიქრა მოხუცმა მასწავლებელმა.



დედა

დედა—რამდენი დამტკეია ეს სიტყვა. რამდენი სიტობო, სინაზე, რამდენი სიყვარულია ჩაქსოვილი მასში.

დედა—ეს ისაა, რასაც პირველად სწავლობ, პირველად ამოთქვამ ისე, რომ დედის ძუძუსაც არ სცილდები.

დედა!—ამბობ, როცა ძალიან გტკივა.

დედა!—იძახი, როცა ძალიან გიხარია.

დედას ვფიცავარ!—ამბობ, როცა შენს სიმართლეში ეჭვი არ გეპარება.

ყოველთვის მაინტერესებდა: როგორ შეიძლება რომ დედამ აღზარდოს მკვლელი და გარეწარი შვილი? პასუხიც ერთმნიშვნელოვანი მქონდა მუდამ:—არა და არა! ყველა პატარა ხომ ანგელოზია, თუნდაც ყველაზე უარესი გენეტიკიდან მოდიოდეს. ანგელოზი, რომელსაც შემდეგ აყალიბებს ბოროტად და კეთილად ეს დაუნდობელი და მკაცრი სინამდვილე.

მაგრამ მკვლელებსა და ავაზაკებსაც ხომ ჰყავს დედა? ისინი ხომ ასეთებად არ დაბადებულან. უამრავ ხილულ და უხილავ მიზეზთა გამო მივიდნენ ამ მდგომარეობამდე. მაინც რა არის ბოროტება? ან რა არის სიკეთე? მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთიც და მეორეც ჩვენშია და ცხოვრების აზრიც ხომ სიკეთის გამარჯვებაა ბოროტებაზე. ბოლოსდაბოლოს ჩვენ ხომ აბელისა და კაენის შვილები ვართ და ამაშია ყველა პასუხგაუცემელი კითხვის პასუხი.

იყო ერთი უცოდველი ქალი, ჩემი სუბიექტური აზრით ყველაზე საუკეთესო და კეთილი ქალი იმათ შორის, ვინც კი დედამიწაზე დაბადებულა.

ის ქალი ჩემი დედა იყო, ჩემი მფარველი ანგელოზი, ის ყველაფერი იყო ჩემთვის.

მე ბავშვიარჯვებ, დედა!

კოსმოსივით უსასრულო და უნაპიროა ჩემი სიყვარული და მონატრება.

გახსოვს ძველი სიმღერა?

„რად არ გძინავს საყვარელო დედა?,

რა გაწუხებს, ჩუმად რატომ კვნესი?

მე რომ გულში გაზაფხული მენტო,

შენც იმიტომ დაგიზამთრდა თმებში“.

შეგძრა ამ სიტყვებმა? მეც ასე მემართება. დედა ხომ ჩემი სიცოცხლე და ჩემი სულის ნაწილი იყო.

აქ, პალატაში ჩემს გარდა ათ ავადმყოფს სძინავს... „ადიალა“ მაქვს წაფარებული, ვზივარ მოკუნტული საწოლზე, უფრო სწორად ხის ჯირკვიით ვაგდივარ და ფანჯარაში ვიჭყიტები.

ვფიქრობ წარსულ და ახლანდელ ყოფაზე და თვალები ცრემლებით მევსება.

–დედა მენატრება, ო, როგორ მჭირდები ნეტა იცოდე! ვხუჭავ თვალებს და უცისფერეს კაბადონზე ვხედავ შენს სახეს. აჰა, მოდიხარ ჩემს ფანჯარასთან, თეთრ სამოსში გამოწყობილი, თავზე შარავანდელი გადგას, როგორც ანგელოზს.

მინდა მოგეხვიო, გულში ჩაგიკრა და მოგეფერო ისე, როგორც ადრე გეფიცებოდი, ისე როგორც შენ მასწავლე.

უცებ ვახელ თვალებს და ვუბრუნდები მკაცრ სასტიკ რეალობასა და მწარე ყოველდღიურობას:

–ძალიან მიჭირს დედი, ძალიან! რა მეშველება აქ, სულით დაავადებულთა საავადმყოფოში გამომწყვდეულს? შენ ხომ ჩემი დედა ხარ, ის ქალი, რომელსაც სიცოცხლეზე მეტად ვუყვარდი. ვერ წარმოიდგენ დედი, ისე მიჭირს. არ იფიქრო, ფიზიკურად მიჭირდეს, აქ საავადმყოფოში ძალიან კარგი პირობებია.

ნორმალური კვება, გართობა, წამლები, მზრუნველი მედ-პერსონალი, მაგრამ არ მინდა აქ ყოფნა დედი, არ მინდა!

–რას აპირებ შვილო?–იმედი არ დაკარგო იცოდე, ხომ იცი, იმედი ყველაზე ბოლოს კვდება!

–ჰო, გადავწყვიტე არ დაენებდე ამ საშინელ ხვედრს. გადავწყვიტე ბოლომდე, ბოლო ამოსუნთქვამდე ვიბრძოლო. მე ხომ შენ გგავარ სიმტკიცესა და მოთმინებაში!

–ჰო, შვილო, მასე, ყოჩაღ, ასეც უნდა ჰქნა, არ უნდა დანებდე!

–არავინ არ მომაკითხა დედი, არავინ! ახლა კარგად ვარ, ჰოდა მე თავად წავალ, გამიშვებენ, მენდობიან.

–მშვიდობით იარე შვილო, ნუ აჩქარდები, ნუ გაცხარდები. ხომ გაგიგია: მომთმენის დედა ხარობდესო!

–ჰო, დაგიჯერებ, არ დავნებდები და გავიმარჯვებ დ ე დ ა!

მარტინ მონღო

თეთრი წვიმა

(ნაწყვეტი მოთხრობიდან „ღრუბელი“ ფრანგულიდან თარგმნა ინგა სენაკელმა)

„მარინა“ როგორც თეთრებში გამოწყობილი პატარძალი, ისე გამოირჩეოდა სანაპიროსთან მდგარ გემებსა და იახტებს შორის. იგი პატრიციას, ამერიკელი მილიონერის ქალიშვილს ეკუთვნოდა. მამამ ეს საჩუქარი შარშან, 1 აპრილს მიართვა, როცა მშვენიერი პატრიცია 18 წლის გახდა.

წელს თავისი ულამაზესი იახტით პატი იაპონიას სტუმრობდა, სადაც მისი უფროსი და იყო გათხოვილი.

იმ დღეს გემბანზე გამოსული პატრიცია და მისი მეგობრები იაპონიის ლაჟვარდოვან ცაბ შესცქეროდნენ და თანაც საღამოს გეგმებზე საუბრობდნენ.

ქერთმიანი პატრიცია ზღვის ფერიას ჰგავდა, ირგვლივ თაყვანისმცემელთა მთელი ჯგუფი შემოხვეოდა. მაღალი ფრანკი, ამერიკელი ბანკირის ერთადერთი ვაჟი, ამერიკელი არმიის ოფიცერი ჯეკობი თმახუჭუჭა, მუდამ მოცინარი ჯეკი, მუდამ ახალ-ახალ ანეკდოტებს ჰყვებოდა.

მოულოდნელად გემბანზე თეთრი წვიმა წამოვიდა, უცნაური, თბილი წვიმა, ცაც არაბუნებრივად ანათებდა. ბუნებაც თითქოს რაღაც იდუმალებით იყო მოსილი.

პატრიციამ სახე მიუშვირა თეთრ წვიმას.

რა არის ეს კაპიტანო?—ჰკითხა ფრანკმა კაპიტანს, რომელსაც სახე არაბუნებრივად მოღუშოდა. მას ძალზე აოცებდა და აეჭვებდა ეს უცნაური წვიმა და ზეცის არაბუნებრივი სიკაშკაშე.

კაპიტანმა ბინოკლი მოიმარჯვა. შორს, სივრცეში ღრუბლის უზარმაზარი სოკო მოჩანდა.

—სწრაფად კაიუტაში! არაბუნებრივად იყვირა კაპიტანმა.

—რა ხდება?—იკითხა ჯეკმა.

—ფვიქრობ, რაღაც საშინელებაა, ჩქარა კაიუტებში!

—რატომ კაიუტაში?—აქ ძალიან კარგია!—გაუძალიანდა პატრიცია.

—გიბრძანებთ, სწრაფად ყველა კაიუტაში! არაადამიანურად იყვირა კაპიტანმა.

გემბანი წამში დაცარიელდა.

კაპიტანმა ზუსტად არ იცოდა რა იყო ეს, მან, ვერც კი წარმოიდგინა, ის საშინელება, რაც ხიროსიმაში ხდებოდა, მაგრამ გუჟანით მაინც გრძნობდა რაღაცას. მოგვიანებით ყველამ კარგად გაიგო, რომ ეს რადიაციული წვიმა იყო.

ოთხი დღის შემდეგ გემბანზე მყოფი ახალგაზრდები კლინიკაში აღმოჩნდნენ. პატრიციას სერიოზული დამწვრობა ჰქონდა მიღებული. ყველაზე მეტად ის დაზარადა. მისი

სარჩევი

სპარტაკ უსუთელის შემოქმედება	
ხონის წმ. გიორგის ეკლესიას.....	5
გელათი.....	6
ახალგაზრდობა.....	6
თბილისი.....	7
ახალი წელი.....	7
ქუთაისო!.....	8
ვანის ნაქალაქარი.....	8
ვიღაც მოხუცი.....	9
მერე რა მოხდა.....	9
ქუთაისელი.....	10
დიოგენე.....	11
დედის დღე.....	11
ახლობლის პატარა გოგონას.....	13
მზე.....	13
წყალტუბო.....	13
8 მარტი.....	14
რამაზ ჯორჯიასვილის შემოქმედება	
სიყვარული.....	15
იესო ქრისტე.....	15
პარიზი.....	16
ალბიონი.....	16
ყონივარდი.....	17
სად ხარ?.....	17
ქერა ასული.....	18
გონა ბაკურაძეს.....	18
მერაბ გიორსელიძეს.....	19
დ. სანოძეს.....	19
თამაზ ღომთაძეს.....	20
იოსებ ნანეიშვილს.....	20
ცირა შვანგირაძეს.....	21
რევაზ ხვედელიძეს.....	21
ბედისწერა.....	22
თეას.....	22
ნიდარ ნიჭარაძეს.....	23
ნეტავ სად არის.....	23
ქეთო ექთანი.....	24
სიყვარული.....	24
ჰოლანდია.....	25
მარაბდა.....	25
ანზორ მამბრელის შემოქმედება	
გთხოვთ, მაპატიოთ!.....	26
სიცოცხლე გაყიდვაშია.....	28
თინათინ ჰალელი.....	29

სარჩევი

ლამაზი მახინჯი.....	29
თავისუფლება.....	30
მეორადები.....	30
იმედი.....	30
თვალეები.....	31
31 დეკემბერი.....	31
მთები.....	31
როგორ უძლებო.....	32
ოცნების ქალი.....	32
ნულარ დამტოვებ უქმაროდ.....	33
აბა რა გითხრა, ამობილო!.....	33
როგორ გიყვარდი.....	34
გულო ჩადექ საგულებსა.....	34
ვახტანგ მიშაშვილის შემოქმედება	
კენესოდა ქარი.....	35
კოცნა.....	36
ისტორია.....	36
იბერია.....	36
ქართლოს ლალიაშვილის შემოქმედება	
ქ-ნ დ. კაღანდარაშვილს.....	37
მონა.....	37
კაცურკაცობა.....	38
ჩინოვნიკები.....	38
მებრალეობდეს.....	38
ხათუნა შრიფონიშვილის შემოქმედება	
ფარული გრძობა.....	39
ადარ გიყვარვარ?.....	40
ჩემნაირები.....	40
ყოფილი ცოლს.....	41
მელანდებოდი.....	41
ალექსანდრე ბუჩინასტნის შემოქმედება	
სურვილი.....	42
კოცნა პირველი-უკანასკნელი.....	43
იმ ღამეს.....	43
რა შემართება.....	44
მადლობა.....	44
ინბა სენაკელის შემოქმედება	
სკოლის მასწავლებელი (პიერ გამარა).....	45
დედა.....	47
დედა.....	48
თეთრი წვიმა (მარტინ მონდი).....	49

ეროვნული ცენტრის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით, 1977 წლის 30 დეკემბერს, ქ. ქუთაისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ლიკვიდაციის ბაზაზე, ქუტირის რესპუბლიკური მნიშვნელობის ფსიქიატრიული საავადმყოფო შეიქმნა.

აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 1978 წლის 23 თებერვალს 6 პაციენტი მიიღეს. მას შემდეგ სტაციონარი მზადყოფნას გამოთქვამს პაციენტთა მკურნალობისა და რეაბილიტაციისათვის.

ტიპური პროექტით აგებული შენობა-ნაგებობა 700 პაციენტზე გათვლილი, მისი მდებარეობა ქ. ქუთაისიდან 35 კმ-ით, ხონის რაიონული ცენტრიდან 7 კმ, ხოლო ქ. სამტრედიიდან 16 კმ-ის დაშორებით განისაზღვრება. დაწესებულების საერთო ფართობია 19,4 ჰა. შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 23, 474 კვ.მ.

2007 წლიდან ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, რომელიც აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელს ატარებს. იგი ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოს მასშტაბით, რომელიც ემსახურება ისეთი კატეგორიის პაციენტებს, რომლებმაც გაიარეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ეროვნულ ცენტრში, ცვლილებები ინტენსიურად ხორციელდება და მენეჯმენტი ყოველთვის ახლის ძიებაშია. აქ ამჟამად ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას 600-მდე პაციენტი გადის, აქედან 300-მდე პაციენტს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული დახმარება უტარდება.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (GIP) ეგიდით, დაწესებულებას ხშირად სტუმრობენ პოლანდიდან-პომპეს იძულებითი მკურნალობის კლინიკის სპეციალისტები, რომლებიც ატარებენ ტრენინგებს ეროვნული ცენტრის სპეციალისტების მაღალკვალიფიცირებისათვის. რამდენიმე ექიმ-ფსიქიატრმა მონაწილეობა მიიღო, პომპეს არანებაყოფლობითი მკურნალობის კლინიკაში (პოლანდია) გამართულ საერთაშორისო სემინარში.

ეროვნული ცენტრის ადმინისტრაცია დაინტერესებულია ორგანიზაციაში მკურნალობის ახალი მოდელის დამკვიდრებით. რაც გულისხმობს ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტების,

მედიკამენტოზური მკურნალობის გარდა, ალტერნატიული მეთოდებით მკურნალობას, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირის საზოგადოებასთან რეინტეგრაციის ხელშეწყობას, კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი სოციალური გარანტიების დაცვას. ამ ყველაფერს ხელს უწყობს ის ნოვაციები, რომლის განხორციელება ცენტრმა უკვე 2 წელია დაიწყო. არტ-თერაპიული ცენტრი, ბიბლიოთეკა, პრესა, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა შესაძლებელია ყველა პაციენტისათვის.

წელიწადის ყველა დრო აქ ძალიან ლამაზია, ყველაზე გამორჩეული გაზაფხულია, მაშინ როცა გამწვანებულ ხეივანში ჩაფლულია წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის თეთრი ტაძარი, სადაც მღვდელთმსახურება აღევლინება მაღალყოვლადუსამღვდელოესი ხონი-სამტრედიის მიტროპოლიტი საბას (გიგობერია) ღოცვა-კურთხევით. ტაძარი ხომ პაციენტთა სულიერ სამყაროს ყველაზე მეტად სჭირდება.



About the National Centre

Under the resolution of the Ministry of Health Protection of Georgia, on December 30, 1977, after abolishing the psychiatric hospital in Kutaisi, Kutiri Psychiatric Hospital of republican importance was created.

The Kutiri Psychiatric Hospital named after academician B. Naneishvili received six patients on February 23, 1978. Since then it is prepared to receive patients and provide stationary treatment and rehabilitation.

The premises of the hospital is a typical building projected for 700 patients. It is located 35 kilometers from Kutaisi and 7 kilometers from Khoni District center and 16 kilometers from the Samtredia town.

The total area of the establishment is 19,4 hectares, the buildings' total area constitutes 23, 474 sq. m.

From 2007 Kutiri Psychiatric Health Center changed its name and was renamed to National Centre of Psychiatric Health which bears the name of the academician Bidzina Naneishvili. It is the only establishment throughout Georgia which serves the category of patients who have undergone the forensic medical examination. There are intensive improvements going on in the National Center and the management is constantly looking for innovations. At the moment up to 600 patients are undergoing psychosocial rehabilitation here, 300 patients out of this are given involuntary psychiatric stationary assistance.

The National Center for Psychiatric Health has close relationships with different government as well as non-government organizations. Under the umbrella of Global Initiative in Psychiatry (GIP) the establishment frequently hosts the specialists from Pompe Clinic of Forced Treatment (Nijmegen, Netherlands), who conduct trainings for raising qualification of the specialists in the National Center.

Several Doctor-psychiatrists took part in the international seminar held in the Pompe Clinic of Forced Treatment (Netherlands).

The administration of the National Center is concerned about implementing new model of treatment in the organization which involves treating the patients having psychiatric problems with alternative methods (besides medicine treatment), assisting the reintegration of people having psychiatric problems into the society, the protection of their social guarantees specified in the legislature. All this is facilitated with the help of innovations which the center started to implement two years ago. Art therapy center, library, press, participation in sports activities is available for all patients.

Every season here is very beautiful, but the spring is distinguished. This is the time when the green alley surrounds the St. Panteleimon Healer's white church, where the church service is led with Khoni-Samtredia Metropolitan Saba's (Gigiberia) blessing. The church is the most necessary element of the patients' spiritual world.

შეხვედრა პომპეკლინიკის (ქ. ნაიუმენი) სპეციალისტებთან.

2008 წელი 16-20 ივნისი. ეროვნულ ცენტრს „GIP“ -ის (გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში) ეგიდით, პომპეკლინიკის ექსპერტები ერიკ ბულტერი და ედ შუტგენსი ესტუმრა. მათ ტრენინგები მოაწვეეს ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან. პომპეკლინიკა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციად მოიაზრება.



პაციენტები ქორეოგრაფიული თერაპიის დროს.
Patients in choreographic therapy.



ცეკვა „ძმური მოხვევური“
Dance „Dzmuri Moxevuri“



საქართველო. ხონი. ქუტირი
შ.პ.ს., „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის
სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული
ცენტრი.“

(899) 472-538, faqsi/tel: (8231) 100-424

ელ-ფოსტა: gocha@inbox.ru

gocha@posta.ge

www.ncmh.ge

National Centre of Mental Health named
after the Academician Bidzina Naneishvili

Village Kutiri, Khoni, Georgia

Tel/Fax. +995331100424

Mobile: +99599472538

Email: gocha@inbox.ru

gocha@posta.ge

www.ncmh.ge



დაიბეჭდა შპს „მზმ-პოლიგრაფი“-ს მიერ

ქ. ქუთაისი, ა. წყნეთის ქ. 186

ტელ.: (8 231) 3 45 54, 3 54 45